

სარეზიდენტო პროგრამა

„დერმატო-ვენეროლოგია“

(ხანგრძლივობა- 3წელი - 33თვე)

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.შესავალი

სარეზიდენტო პროგრამა „დერმატო-ვენეროლოგიაში“ განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებულის სპეციალისტისათვის, მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის, რომელთაც აქვთ სურვილი გახდნენ ექიმი-დერმატო-ვენეროლოგები და გადალახეს დიპლომის შემდგომის აკვალიფიკაციო გამოცდის მინიმალური ზღვარი. რეზიდენტურაში ჩარიცხვა ხორციელდება ყოველწლიურად სარეზიდენტო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე. პროგრამის წარმატებით დაძლევის წინაპირობას წარმოადგენს დიპლომანტი დამთავრებული სამედიცინო განათლების ეტაპზე მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამის მიზანია პროფესიული კადრების მომზადება „დერმატო-ვენეროლოგიაში“. თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დერმატო-ვენეროლოგს დაეხმარება სპეციალიზებული, კვალიფიციური დახმარება აღმოუჩინოს პაციენტებს. დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე სწავლება უნდა იყოს მრავალფეროვანი, პროგრესული და სისტემური. ამასთანავე სწავლება უნდა მიმდინარეობდეს შესაბამისი ხანგრძლივობით.

მუხლი 3. სპეციალობის აღწერილობა

1. სპეციალობის ადასპეციალისტის განსაზღვრა (დეფინიცია):

ა) „დერმატო-ვენეროლოგია“ არის კლინიკურისა და ექიმოსპეციალობა, რომელიც შეისწავლის კანის ადასპექსობრივი გზით გადადამდებდაავადებებს და მათ მიერ გამოწვეულ გართულებებს;

ბ) დერმატოლოგია მოიცავს კანის ადასპექსობრივი, ლორწოვანი გარსის, კანის დანამატების ადასპექსობრივი და ავადმდებლობის დიაგნოსტიკას, კლინიკას, მკურნალობას ადასპექსობრივი, როგორც კანის ადასპექსობრივი, ასევე კანის სისტემური ადასპექსობრივი და ავადმდებლობის დიაგნოსტიკას, როგორც კანის ადასპექსობრივი და ავადმდებლობის დიაგნოსტიკას, აგრეთვე, გულისხმობს ჯანმრთელ კანზე და ესთეტიკურ სილამაზეზე ზრუნვას;

გ) ვენეროლოგია მოიცავს სქესობრივი გზით გადადამდებდაავადებებს და სხვა გენიტალური ადასპექსობრივი და ავადმდებლობის დიაგნოსტიკას, კლინიკას,

მკურნალობასადაპროფილაქტიკას. ვენეროლოგიააგრეთვემოიცავსქესობრივდა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზეზრუნვას;

დ) სპეციალისტი – დერმატო-ვენეროლოგია რისინტეგრირებულიცოდნისმქონეექიმი, რომელსაც:

დ.ა) გააჩნიასათანადოთეორიულიცოდნადაკლინიკურიუნარ-ჩვევებიდერმატო-ვენეროლოგიაშიკლინიკურისაქმიანობისწარმატებითწარმართვისათვის.დერმატო-ვენეროლოგმა უნდა განახორციელოს დაავადებათა დიაგნოსტიკა, ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დადგენა, სათანადო სამკურნალო-პრევენციული ღონისძიებების შერჩევა;

დ.ბ) ნებისმიერსამკურნალო, კლინიკურდასამეცნიეროსამედიცინოდაწესებულებაშიშეუძლიაშეასრულოსკვალიფიციურისპეციალისტ – კონსულტანტისდერმატო-ვენეროლოგისროლიდიაგნოსტიკურიდათერაპიულიპრობლემებისგადაწყვეტაში;

დ.გ) შეუძლიადერმატო-ვენეროლოგიისდარგშიმონაწილეობამიიღოსკლინიკურდაელემენტარულსამეცნიერო კვლევებში;

დ.დ) გააჩნიაუნარიდერმატო-ვენეროლოგიაშიმიღებულიცოდნადაგამოცდილებაგაუზიაროსსტუდენტებსდამედიცინისსხვადასხვადარგშიმომუშავეექიმ-სპეციალისტებს.

2. სპეციალისტისთეორიულიცოდნა –

საერთაშორისომიდგომიდანგამომდინარე, დერმატო-ვენეროლოგიურისამედიცინოსაქმიანობისმოთხოვნებისტანდარტებისშესაბამისად, სპეციალისტიდერმატო-ვენეროლოგიუნდაფლობდეს:ზოგადი (კანისანატომია, ფიზიოლოგია, მორფოლოგია), ინფექციური (კანისლოკალური, სისტემური, ტრანსმისიულიინფექციები), არაინფექციური (ქრონიკულიდერმატოზები, ალერგოდერმატოზები, აუტოიმუნური, გენეტიკურიდერმატოზები, კანისსიმსივნეები, კოლაგენოზები, ვასკულიტები, კანისრეაქციები) დაავადებებისდადერმატო-კოსმეტოლოგიის, აგრეთვესქესობრივიგზითგადამდებიბაქტერიული, პარაზიტული, ვირუსული და სხვა ეტიოლოგიის დაავადებების (სიფილისი, გონორეულიდაარაგონორეულიდაავადებები, შიდსი და სხვ.) საფუძვლებს. შესაბამისად, დერმატოლოგია მოიცავს ცოდნას შემდეგი მიმართულებებით:

ა) იმუნოდერმატოლოგია - შეისწავლის კანის დაცვით მექანიზმებს და მოიცავს დაავადებებს, რომლებიც განპირობებულია ორგანიზმის იმუნური პასუხით, კერძოდ, გარე ფაქტორებზე კანის ალერგიული და ფსევდოალერგიული რეაქციები, წამლებისა და სხვა წარმოშობის ქიმიური აგენტების არასასურველი გვერდითი ეფექტები. აქ განიხილება ასევე აუტოიმუნური დაავადებები, კიბოსა და ორგანოთა ტრანსპლანტაციის დროს გამოყენებული იმუნოსუპრესიული თერაპიის გართულებები კანზე;

ბ) პროფესიული და გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული დერმატოლოგია განიხილავს გარემო ფაქტორებთან დაკავშირებულ დაავადებებს, რომლებიც ვითარდება კანზე სამუშაო და სხვა კონკრეტულ სიტუაციებში სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად. აქვე იგულისხმება კანზე მექანიკური გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად განვითარებული მდგომარეობები, ჭრილობები;

გ) ფოტოდერმატოლოგია და ფოტოთერაპია განიხილავს ულტრაიისფერი (მზე/ხელოვნური) სხივების დადებით (თერაპიულ) და უარყოფით გავლენას კანზე;

დ) პედაგოგიური დერმატოლოგია კონცენტრირებულია ბავშვების სპეციფიურ და არასპეციფიურ პრობლემებზე, მათ შორისაა თანდაყოლილი და გენეტიკური დაავადებები;

ე) გერიატრიული დერმატოლოგია ორიენტირებულია ასაკოვანი კანის პრობლემებზე;

ვ) კანის ინფექციური დაავადებების დერმატოლოგია ორიენტირებულია ბაქტერიულ, ვირუსულ, სოკოვან, პარაზიტულ დაავადებებზე, რომლებიც არის კონტაგიოზური და შეიძლება მიიღოს ეპიდემიური ხასიათი. აგრეთვე, განიხილავს მიკრობული რეზისტენტობის პრობლემებს;

ზ) დერმატოლოგიური ონკოლოგია მოიცავს კანზე არსებულ კეთილთვისებიან, პრეკანცერულ და ავთვისებიან დაავადებებს, აგრეთვე, პარანეოპლაზიურ დერმატოლოგიას;

თ) ტროპიკული დერმატოლოგია განიხილავს ტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებულ კანის პარაზიტულ და მიკოზურ დაავადებებს;

ი) აივინფექცია/შიდსთან ასოცირებული კანის პრობლემები;

კ) კანის სისხლძარღვოვანი პათოლოგია მოიცავს არტერიებისა და ვენების პათოლოგიების ფონზე განვითარებულ კანის დაავადებებს;

ლ) ფსიქოდერმატოლოგია და სოციალური ასპექტები განიხილავს ფსიქომოციური მდგომარეობის გავლენას კანზე და კანის დაავადების მქონე პირთა ფსიქო-სოციალურ პრობლემებს;

მ) დერმატოპათოლოგია მეცნიერული კვლევებისა და დიაგნოსტიკის მიზნით შეისწავლის კანის ბიოფსიურ და ოპერაციულ მასალებს;

ნ) სამკურნალო ღონისძიებების ცოდნა მოიცავს არა მარტო ტოპიკური და სისტემური პრეპარატების ფარმაკოლოგიას, ასევე დერმატოლოგიურ ქირურგიას (გარეთა სასქესო ორგანოებისა და კანის მცირე ქირურგიას), ელექტროქირურგიას, კრიოთერაპიას, ლაზეროთერაპიას, რადიოთერაპიას და სხვა ფიზიკო-ქიმიურ მკურნალობას (ფოტოდინამიური თერაპიის ჩათვლით);

ო) არაინვაზიური დიაგნოსტიკური პროცედურები მოიცავს დერმოსკოპიის, ულტრაბგერითი გამოკვლევის და კანის ფუნქციების შეფასების სხვა მეთოდების ცოდნას;

პ) ორსულთა კანის პრობლემები (ორსულობის დროს კანზე ფიზიოლოგიური ცვლილებები, ორსულთა დერმატოზები, კანის დაავადებები ორსულობის დროს);

ჟ) ინფექციური და პარაზიტული დაავადებების კანზე გამოვლინებები;

რ) კანი და ენდოკრინული პათოლოგიები;

ს) კანი და თირკმლის დაავადებები;

ტ) კანი და გულმკერდის დაავადებები;

უ) კანი და ჰემატოლოგიური დაავადებები;

ფ) კანი და ნევროლოგიური დაავადებები;

ქ) იშვიათი დაავადებებისა და სინდრომების კანზე გამოვლინება;

ღ) კანის მიმდებარე ლორწოვანი გარსების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მათ შორის პროქტოლოგიური დაავადებები;

ყ) დერმატო-კოსმეტოლოგია. ესთეტიკური და კოსმეტიკური დერმატოლოგია – ესთეტიკური და კოსმეტიკური დერმატოლოგიის კონკრეტული ასპექტები, რომლებიც ეფუძნება კოსმეტოლოგიისა და კანის ბიოლოგიის მეცნიერულად დადასტურებულ კონცეფციებს, ეს არის სფერო, რომელიც ემსახურება სილამაზის შენარჩუნებას, მოიცავს კანის ესთეტიკური კორექციის სხვადასხვა ასპექტებს და

აპრობირებულ კოსმეტოლოგიურ პროცედურებს. შეისწავლის კანის კოსმეტოლოგიურ ტიპებს, კანის ასაკობრივ მორფოლოგიურ თავისებურებებს, კოსმეტოლოგიური საშუალებების ფორმებს, მათი შემადგენელი ინგრედიენტების მოქმედების მექანიზმებს. ფიტოთერაპიის, არომათერაპიის, ბალნეოლოგიის გამოყენებას კოსმეტოლოგიაში;

შ) კანის დაავადებათა ეპიდემიოლოგია და მენეჯმენტი. კანის დაავადებების პრევენცია და რეაბილიტაცია; ფაქტებზე დამყარებული მედიცინა; სამეცნიერო კვლევები დერმატოლოგიური მომსახურეობის, ფარმაკოთერაპიისა და ჯანდაცვის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად;

ჩ) ვენეროლოგია:

ჩ.ა)სქესობრივი გზით გადამდები (სგგ)ბაქტერიული, პარაზიტული, ვირუსული და სხვა ეთიოლოგიის ინფექციების ეპიდემიოლოგია აივ ინფექციის ჩათვლით;

ჩ.ბ)სგგბაქტერიული, პარაზიტული, ვირუსული და სხვა ეთიოლოგიის ინფექციების პრევენცია და კონტროლი, სქესობრივი პარტნიორის ინფორმირება;

ჩ.გ)სგგბაქტერიული, პარაზიტული, ვირუსული და სხვა ეთიოლოგიის ინფექციების მომსახურეობის ორგანიზაცია ჯანდაცვის სისტემაში;

ჩ.დ)სქესობრივი ცხოვრების ანამნეზი და გენიტალურ-ანალური გამოკვლევა;

ჩ.ე) სგგ ბაქტერიული, პარაზიტული და ვირუსული ეთიოლოგიის ინფექციები - პათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, გართულებები, პროფილაქტიკა;

ჩ.ვ)სგგ ინფექციების კლინიკური დიაგნოსტიკა და მენეჯმენტი. სისტემური მანიფესტაციების, გენიტალურ-ანალური დერმატოზების, ადგილობრივი და სისტემური გართულებების ჩათვლით;

ჩ.ზ)აივ ინფექცია და მისი გართულებები. მენეჯმენტი და მკურნალობა;

ჩ.თ)HPV-სთან ასოცირებული ქვედაგენიტალური ტრაქტის მალიგნიზაციები, მათი დიაგნოსტიკა და საშვილოსნოს ყელის უჯრედული პათოლოგიების მენეჯმენტი;

ჩ.ი)გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური და ანდროლოგიური დაავადებები;

ჩ.კ)სგგ დაავადებები ორსულებსა და ახალშობილებში;

ჩ.ლ)გენიტალური ინფექციების მქონე ბავშვების მულტიდისციპლინური მენეჯმენტი;

ჩ.მ) სგგბაქტერიული, პარაზიტული, ვირუსული და სხვა ეთიოლოგიისინფექციების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, მათ შორის სეროლოგიური ტესტები;

ჩ.ნ) კონტრაცეფციის მეთოდები;

ჩ.ო) ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრება და განათლება, ფსიქოსექსუალური პრობლემები.სქესობრივიდა რეპროდუქციული ჯანმრთელობადაგანათლება. ოჯახისდაგეგმვა;

ჩ.პ) სგგდაავადებები როლი ქალთა და მამაკაცთა სექსუალურ დარღვევებში - რეპროდუქციული და კოოპულაციური ჯანმრთელობა.

3. იმ დაავადებების და პათოლოგიური მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება და მკურნალობა უნდა შეეძლოს ექიმ დერმატო-ვენეროლოგს:

ა) პიოდერმიები;

ბ) ვულგარული ფერისმჭამელები;

გ) კერატომიკოზები;

დ) დერმატოფიტოზები (ეპიდერმოფიტონებით, მიკროსპორუმებით, ტრიქოფიტონებით გამოწვეული წვერის და თავის თმიანი მიდამოს, ფრჩხილის, მტევნის, ტერფის, სადა კანის, ქერცლოვანი, საზარდულის მიკოზები);

- ე) კანდიდოზი;
- ვ) ღრმა მიკოზები;
- ზ) ფსევდომიკოზები;
- თ) მუნი;
- ი) მკბენარიანობა;
- კ) კეთრი;
- ლ) კანის ტუბერკულოზი;
- მ) სარკოიდოზი;
- ნ) კანის ლეიშმანიოზი;
- ო) მარტივი ჰერპესი;
- პ) სალტისებური ჰერპესი;
- ჟ) მეჭეჭები (ვულგარული, ბრტყელი, ტერფის და წვეტიანი კონდილომები);
- რ) კონტაგიოზური მოლუსკი;
- ს) მრავალფორმიანი ექსუდაციური ერითემა. სტივენს-ჯონსონის სინდრომი;
- ტ) ვარდისფერი პიტირიაზი;
- უ) ფსორიაზი;
- ფ) პარაფსორიაზი;
- ქ) ფოლიკულური ვეგეტური დისკერატოზი (დარიეს დაავადება);
- ღ) წვეტიანი ლიქენები (ჰებრას და დევერჟის ლიქენები);
- ყ) მასტოციტოზი (პიგმენტური ჭინჭრის ციება);
- შ) წითელი ბრტყელი ლიქენი;
- ჩ) დერმატიტები;
- ც) ეგზემა;
- ძ) დისჰიდროზი;
- წ) სეზორეული დერმატიტი;
- ჭ) ტოქსიდერმია;
- ხ) ლაილას დაავადება;
- ჯ) ფოტოდერმატოზები (მათ შორის პორფირიები);
- ჰ) რადიაციული დერმატიტი;
- ჰ¹) კანის პროფესიული დაავადებანი;
- ჰ²) კანის ქავილი, როგორც სიმპტომი და როგორც დაავადება;
- ჰ³) შემოფარგლული ნევროდერმიტი;
- ჰ⁴) ატოპიური დერმატიტი;
- ჰ⁵) ჭინჭრის ციება;
- ჰ⁶) წითელი მჭამელი;
- ჰ⁷) სკლეროდერმია;
- ჰ⁸) დერმატომიოზიტი;
- ჰ⁹) პანიკულიტი;
- ჰ¹⁰) პურპურა;
- ჰ¹¹) ვასკულიტები;
- ჰ¹²) პემფიგუსი;
- ჰ¹³) დიურინგის ჰერპეტიფორმული დერმატიტი;
- ჰ¹⁴) ლევერის პემფიგოიდი;

- 3¹⁵) ბეხჩეტის სინდრომი;
- 3¹⁶) დარის რგოლისებრი ერიტემა;
- 3¹⁷) აფცელიუს-ლიპშუტცის ქრონიკული ერიტემა;
- 3¹⁸) ვენდეს მედეგი ფუგურული ერიტემა;
- 3¹⁹) რგოლისებრი გრანულომა;
- 3²⁰) გამელოტება და მისი კლინიკური ნაირსახეობანი;
- 3²¹) თმის პათოლოგიები: მონილექრიქსი, ჰიპერტრიქოზი და სხვ.;
- 3²²) ფრჩხილის პათოლოგიები: დისტროფიები და დისქრომიები;
- 3²³) სებორეა;
- 3²⁴) დისქრომიები;
- 3²⁵) ვარდისფერი ფერისმჭამელა. დემოდეკოზი. რინოფიმა;
- 3²⁶) საოფლე ჯირკვლების დაავადებანი;
- 3²⁷) ქელიტები;
- 3²⁸) სტომატიტები;
- 3²⁹) როსოლიმო-მერკელსონ-როზენტალის სინდრომი;
- 3³⁰) იქთიოზი;
- 3³¹) ბულოზური ეპიდერმოლიზი;
- 3³²) კერატოდერმიები;
- 3³³) აკროდერმატიტი;
- 3³⁴) პიგმენტური ქსეროდერმა;
- 3³⁵) ფუნგოიდური მიკოზი;
- 3³⁶) კანის რეტიკულოზები;
- 3³⁷) ფსევდოლიმფომები;
- 3³⁸) კანის კეთილთვისებიანი სიმსივნეები;
- 3³⁹) კანის პრეკანცერული დაავადებანი (ბოუენის დაავადება, ლეიკოპლაკია, აქტინიური კერატოზი);
- 3⁴⁰) ბაზალიომა;
- 3⁴¹) ბრტყელუჯრედოვანი კიბო;
- 3⁴²) მელანომა;
- 3⁴³) პეჯეტის დაავადება;
- 3⁴⁴) ცხელი ქვეყნების მცხოვრებთა კანის ზოგიერთი დაავადება;
- 3⁴⁵) კანის დაავადებები შიდსის დროს;
- 3⁴⁶) სიფილისის ზოგადი პათოლოგია. პირველი, მეორე, მესამე ხანის სიფილისი;
- 3⁴⁷) შინაგანი ორგანოების, მამოძრავებელი აპარატის, მხედველობის ნერვის დაზიანება სიფილისის დროს;
- 3⁴⁸) ნერვული სისტემის სიფილისი;
- 3⁴⁹) ჩვილ ბავშვთა თანდაყოლილი სიფილისი;
- 3⁵⁰) ადრეული ასაკის ბავშვთა სიფილისი;
- 3⁵¹) თანდაყოლილი დაგვიანებული სიფილისი;
- 3⁵²) სიფილისის სეროდიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები ფარული სიფილისის გამოვლინებაში;
- 3⁵³) ქალთა კონსულტაციებისა და ორსულთა კლინიკო-სეროლოგიური გამოკვლევის მნიშვნელობა თანდაყოლილი სიფილისის პროფილაქტიკაში;
- 3⁵⁴) სერორეზისტენტური სიფილისი. სიფილისის მკურნალობა;
- 3⁵⁵) სიფილისის განკურნების კრიტერიუმები, აღრიცხვიდან მოხსნა;

3⁵⁶) შანკროიდი;
3⁵⁷) მეოთხე ვენერული დაავადება (ვენერული ლიმფოგრანულომა);
3⁵⁸) გონორეა. კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
3⁵⁹) გონორეული ურეთრიტი, გონორეული ეპიდიდმიტი, პროსტატიტი, ვეზიკულიტი;

3⁶⁰) გონორეის განკურნების კრიტერიუმები, პირადი და საზოგადოებრივი პროფილაქტიკა;

3⁶¹) არაგონორეული ურეთრიტები (ურეაპლაზმოზი, ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, მიკოპლაზმოზი);

3⁶²) გოგონათა არაგონორეული ვულვოვაგინიტები;

3⁶³) ცხელი ქვეყნების მცხოვრებთა ზოგიერთი ვენერული დაავადება;

3⁶⁴) კანის დაავადებები შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომის დროს;

3⁶⁵) ნორმატიული დოკუმენტები, ბრძანებულებები, ინსტრუქციები, მეთოდური მასალები და მოქმედი კანონმდებლობა;

3⁶⁶) მოსახლეობის სანიტარული განათლება და ჰიგიენური აღზრდა, რეპროდუქციული და კოოპულაციური ჯანმრთელობა;

3⁶⁷) კანისა და ვენერულ ავადმყოფთა დისპანსერიზაცია;

3⁶⁸) სგგ ბაქტერიული, პარაზიტული და ვირუსული ეთიოლოგიის ინფექციები - პათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, გართულებები, პროფილაქტიკა.

4. სპეციალობით „დერმატო-ვენეროლოგია“ გათვალისწინებული უნარ-ჩვევები:

ა) ზოგადი უნარ-ჩვევები:

ა.ა) კანისადამისი დანამატების: თმების, ფრჩხილების, ოფლისა და ცხიმოვანი ჯირკვლების სანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების განსაზღვრა;

ა.ბ) პათოფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, გენეტიკური და სხვა ზოგადსამანათლებლო პრობლემების საკვანძო საკითხების ინტერპრეტაცია;

ა.გ)

კლინიკური მედიცინის ძირითადი ნოზოლოგიური ფორმების და პათოლოგიური მდგომარეობის კლინიკური და პარაკლინიკური დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების ფლობა;

ა.დ)

სომატური და ინფექციური დაავადებებისას პათოლოგიური მდგომარეობის დაკავშირებული ბადერმატო-ვენეროლოგიური პათოლოგიებთან;

ა.ე) დერმატო-ვენეროლოგიაში გამოყენებული ფარმაკოთერაპიის საფუძვლების ფლობა.

სამკურნალოსაშუალებების ძირითადი ჯგუფების მოქმედების მექანიზმის, მათი ხმარების ჩვენებების, უკუჩვენების, გართულების განსაზღვრა;

ა.ვ)

ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ფიზიკულტურისა და საექიმო კონტროლის საფუძვლების ფლობა;

ა.ზ)

დერმატო-ვენეროლოგიური დაავადებების მართვა, საბაზისო და კლინიკურ ცოდნაზე დაფუძნებული გამოცდილების გამოყენებით;

ა.თ) ეთიკური, იურიდიულადდასაბუთებულიგანსჯის წარმართვა,რაცშეეფერებამალაკვალიფიკაციისექიმსპეციალისტს.კოლეგებთანდა სხვასპეციალობისექიმებთანეფექტური თანამშრომლობა;

ა.ი) კოლეგებისათვის, უმცროსირეზიდენტებისათვის, სტუდენტებისადაჯანდაცვისსფეროსსხვამუშაკებისათვის ცოდნისადაპრაქტიკულიგამოცდილების გაზიარება;

ა.კ) პაციენტისდამისიოჯახისწევრებისადაახლობლებისათვისსაჭირორეკომენდაციების მიწოდება;

ა.ლ) უწყვეტიპროფესიულიგანათლებისათვის მუდმივი მზადყოფნა, რაცერთ-ერთიმნიშვნელოვანიმომენტიადერმატო-ვენეროლოგისკვალიფიკაციისმუდმივიამაღლებისადასრულყოფისათვის;

ა.მ) სამეცნიეროკვლევების, ნაშრომებისადეკვატურიაღქმისადაინტერპრეტაციისუნარი, სამეცნიეროკვლევისწარმართვანმასშიაქტიურიმონაწილეობა;

ა.ნ) ლიდერობისადაადმინისტრაციულიუნარები;

ა.ო) პაციენტისდამათიოჯახისსაჭიროებების პატივისცემა;

ა.პ) სამხედრო-სანიტარულიდასპეციალურიკლინიკურიცოდნისგამოყენებასამხედრო-სანიტარულსამსახურში, როგორცსპეციალობისმიხედვით, ისესაერთოგადაუდებელისამედიცინოდახმარებისაღმოსაჩენად.

ბ) კლინიკური უნარ-ჩვევები:

ბ.ა) სათანადო დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული საშუალებების გამოყენება პაციენტის კლინიკური მდგომარეობის ინტერპრეტაციისათვის, სათანადო დასკვნების გამოტანა და საჭირო მკურნალობის დაგეგმვა;

ბ.ბ) კრიტიკული მდგომარეობების დროს მართვის კოორდინაცია, გადაუდებელი მდგომარეობების მართვა;

ბ.გ) კონსულტირების პროცესის საჭიროებისამებრ უზრუნველყოფა, უფრო გამოცდილი და/ან სხვა სპეციალისტების დახმარების საჭიროების დროულად განსაზღვრა;

ბ.დ) სამედიცინო დოკუმენტაციის ადეკვატური წარმოება.

გ) აკადემიური უნარ-ჩვევები:

გ.ა) ლიტერატურის მიმოხილვისა და მიღებული კლინიკური შედეგების კრიტიკული შეფასება;

გ.ბ) ხელნაწერთა მომზადება;

გ.გ) ზეპირი პრეზენტაციების მომზადება;

გ.დ) აქტიური კვლევა ან კვლევის მხარდაჭერა;

გ.ე) ფორმალური და არაფორმალური პედაგოგიური მუშაობა სტუდენტებსა და დაბალი კურსის რეზიდენტებთან.

დ) დიაგნოსტიკურიდასამკურნალომანიპულაციები, რომელსაცუნდაფლობდესდერმატო-ვენეროლოგი:

დ.ა) ანამნეზის შეკრება;

დ.ბ) პაციენტის ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო ბარათის შევსება;

დ.გ) პირველადი დოკუმენტაციის შევსება;

დ.დ) კანის, ხილული ლორწოვანი გარსების, კანის დანამატების დათვალიერება;

დ.ე) კანის პალპაცია, დიასკოპია;

დ.ვ) დერმოსკოპია;

დ.ზ) დერმოგრაფიზმის განსაზღვრა;

დ.თ) ლუმინისცენტური დიაგნოსტიკა ვუდის აპარატით;

დ.ი) დემოდექსზე, პარაზიტულ სოკოებზე, მუნის ტკიპაზე გამოკვლევა;

დ.კ) ტრიქოგრამა;

დ.ლ) კანის სინჯების, ფენომენების და სიმპტომების განსაზღვრა;

დ.მ) დაზიანებული ფრჩხილების მოცილება;

დ.ნ) კანიდან პათოლოგიური მასალის აღება ბაქტერიოსკოპული, ბაქტერიოლოგიური და ციტოლოგიური კვლევების ჩასატარებლად;

დ.ო) კანის ბიოფსია პათომორფოლოგიური კვლევებისათვის;

დ.პ) სგგ ბაქტერიული, პარაზიტული, ვირუსული და სხვა ეთიოლოგიის ინფექციების ექსპრესდიაგნოსტიკა;

დ.ჟ) შარდ-სასქესო ორგანოების ზოგადი დათვალიერება;

დ.რ) მკრთალ ტრეპონომაზე მასალის აღება და გამოკვლევა;

დ.ს) ლიმფური კვანძის და ზურგის ტვინის პუნქცია;

დ.ტ) სასქესო ორგანოების და სწორი ნაწლავის ლორწოვანიგარსებიდან ნაცხის აღება;

დ.უ) ლორწოვანი გარსებიდან აღებული ნაცხის მომზადება, ფიქსაცია და შეღებვა;

დ.ფ) ნაცხში სგგ ბაქტერიული, პარაზიტული, ვირუსული და სხვა ეთიოლოგიის ინფექციების გამომწვევის იდენტიფიკაცია;

დ.ქ) წინამდებარე ჯირკვლის რექტალური გამოკვლევა;

დ.ღ) საშარდე ბუშტის კათეტერიზაცია;

დ.ყ) ორულუფიანი სინჯის ჩატარება ურეთრიტების დროს;

დ.შ) პროვოკაციის მეთოდების ჩატარება ურეთრიტებით დაავადებულებში;

დ.ჩ) სიფილისის საწინააღმდეგო საშუალებათა კუნთში ორმომენტიანი შეყვანის მეთოდიკა;

დ.ც) კანის გადამდებ და ვენერული სნეულებით დაავადებულ პაციენტთან მუშაობისას ხელების და ხელსაწყოების დეზინფექციის ჩატარება;

დ.ძ) კანის ალერგიული სინჯები Patch მეთოდით;

დ.წ) წვეტიანი კონდილომების მოცილება;

დ.ჭ) დერმატოლოგიური საფენების, სუსპენზიების, პასტების, აეროზოლების, კრემების და მალამოების გამოყენება;

დ.ხ) მკურნალობის ფიზიოთერაპიული მეთოდების ჩატარება;

დ.ჯ) სამკურნალო საშუალებათა რეცეპტების გამოწერა;

დ.3) წამლების, სისხლის, სისხლის შემცველთა შეყვანა ვენაში;

დ.3¹) კუჭის ამორეცხვა;

დ.3²) კანისა და გარეთა სასქესო ორგანოების ადგილობრივი გაუტკივარება;

დ.3³) საოპერაციო არის მომზადება;

დ.3⁴) ჭრილობის პირველადი დამუშავება, გაკერვა;

დ.3⁵) შარდის გამოკვლევა პორფირინზე;

დ.3⁶) ურეთროსკოპია;

დ.3⁷) ურეთრის ბუჟირება-ტამპონადა;

დ.3⁸) კოლპოსკოპია;

დ.3⁹) მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ინსტრუმენტული გამოკვლევები;

დ.3¹⁰) კანისა და ფრჩხილების კეთილთვისებიანი წარმონაქმნების, მათ შორის ნევისების, მცირე ამბულატორიული ქირურგია;

დ.3¹¹) გარეთა სასქესო ორგანოების კეთილთვისებიანი წარმონაქმნების და კონდილომების ქირურგიული დამუშავება;

დ.3¹²) ფიზიოთერაპია და აპარატული კოსმეტოლოგია: ელექტროკოაგულაცია, ელექტროფორეზი, იონოფორეზი, ქრომოთერაპია, ოქსიგენოთერაპია, დარსონვალიზაცია, ელექტროსტიმულაცია, დაზიანებული თმის ეპილაცია, ულტრაბგერითი თერაპია, თერმოთერაპია, კრიოთერაპია, ლაზეროთერაპია, ბროსაჟი, დერმაბრაზია, პილინგი, ბრაშინგი, მეზოთერაპია, მასაჟი, ელექტროეპილაცია, ფოტოეპილაცია, ლაზერული ეპილაცია, ბიოეპილაცია, მეზოთერაპია, დეზინკრუსტაცია, ვაკუუმი, მასაჟი, კრიომასაჟი, გალვანიზაცია, ფონოფორეზი, მექანიკური დამუშავება – შიგთავსის გამოდენა;

დ.3¹³) თანამედროვე დერმატო-კოსმეტოლოგიური ტექნოლოგია: ბოტოქსი, დისპორტი, მეზოთერაპია, პილინგი;

დ.3¹⁴) დერმატოქირურგია: კანის სხვადასხვა ტიპის ლაქების, ხალების, მეჭეჭების მოშორება აპარატული მეთოდებით, ლაზეროთერაპია, მჟავებით მოწვა, მექანიკური დამუშავება, ღრმა პილინგი, ლიპოსაქცია, დაზიანებული ფრჩხილის დამუშავება;

დ.3¹⁵) ლაზერული ტექნოლოგიებით ფოტოგაახალგაზრდავება;

დ.3¹⁶) დეკორატიულ-ესთეტიური კოსმეტოლოგია, მაკიაჟის სახეები, დერმოპიგმენტაცია და ტატუირება, კონტურული პლასტიკა, მაკიაჟი;

დ.3¹⁷) თმის დეკორატიული კოსმეტიკა;

დ.3¹⁸) ფრჩხილების დეკორატიული კოსმეტიკა;

დ.3¹⁹) ულტრაიისფერი სხივებით მკურნალობა;

დ.3²⁰) პირველადი რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარება;

დ.3²¹) ნორმატიული დოკუმენტების, ბრძანებულებების, ინსტრუქციების, მეთოდური მასალების გამოყენება პრაქტიკაში;

დ.3²²) მოსახლეობის სანიტარული განათლება და ჰიგიენური აღზრდა;

დ.3²³) კანისა და ვენერულ ავადმყოფთა დისპანსერიზაცია;

დ.3²⁴) ბალნეოთერაპია, კლიმატოთერაპია, ტალახით მკურნალობა, ნაფტალანოთერაპია;

დ.3²⁵) კანის დაავადებათა პროფილაქტიკა.

5. იმლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს დერმატო-ვენეროლოგს:

ა) სისხლის საერთო ანალიზი უჯრედული შემადგენლობის განსაზღვრით;

ბ) შარდის საერთო ანალიზი და ნალექის მიკროსკოპია;

გ) სისხლის ჯგუფობრიობა დარეზუს-ფაქტორი;

დ) სისხლის ბიოქიმიური ანალიზი;

ე) სისხლის იმუნოლოგიური კვლევები;

ვ) სისხლის სეროლოგიური კვლევები;

ზ) კოაგულოგრამა;

თ) კანისა და ლორწოვანი გარსების ნაცხის ბაქტერიოლოგიური და ბაქტერიოსკოპული კვლევები;

- ი) ბიოფსიური მასალის და პუნქტატის ციტოლოგიური და პათომორფოლოგიური კვლევები;
- კ) ალერგიული სინჯები, მათ შორის მედიკამენტოზური;
- ლ) ნაცხის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გამომწვევის იდენტიფიკაცია ბაქტერიოსკოპიული მეთოდით;
- მ) ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა;
- ნ) რენტგენოგრაფია და რენტგენოსკოპია;
- ო) ელექტროკარდიოგრაფია;
- პ) კომპიუტერული დიაგნოსტიკა, მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია;
- ჟ) თავ-ზურგტვინის სითხის ბიოქიმია;
- რ) რეოვაზოენცეფალოგრამა;
- ს) ჰორმონალური გამოკვლევები;
- ტ) ანტინუკლეარული ანტისხეულები;
- უ) LE უჯრედები;
- ფ) სკლეროდერმია 70;
- ქ) ავადმყოფის კომპლექსური გამოკვლევის წაკითხვა და ინტერპრეტაცია;
- ღ) ცანგის უჯრედებზე გამოკვლევა;
- ყ) სეროლოგიური გამოკვლევების იფილისზე;
- შ) პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია;
- ჩ) სისხლის იმუნოფერმენტული გამოკვლევები სგ დაავადებების ანტისხეულებზე;
- ც) ნაცხის იმუნოფლორესცენტული გამოკვლევა სგ დაავადებებზე;
- ძ) ბუშტის შიგთავსის გამოკვლევა ეოზინოფილებზე და აკანტოლიზურ უჯრედებზე;
- წ) სისხლის იმუნოფერმენტული გამოკვლევა ონკომარკერებზე;
- ჭ) პროსტატის სკრინინგული ანტიგენის (PSA) იმუნოფერმენტული გამოკვლევა;
- ხ) ანტისპერმული ანტისხეულების გამოკვლევა სისხლის შრატში და სპერმაში;
- ჯ) პროსტატის სითხის ბაქტერიოსკოპია;
- ჰ) სპერმომორფოგრამა და სპერმის ბიოქიმია;
- ჰ¹) სისხლის სქელი წვეთის გამოკვლევა;
- ჰ²) იმუნობიოლოგიური სინჯები (კურცროკ-მიულერის სინჯი და ჰუნერის ცდა);
- ჰ³) სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გამომწვევის იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციის გამოყენებით;
- ჰ⁴) სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გამომწვევის იდენტიფიკაცია ბაქტერიოლოგიური მეთოდით.

მუხლი 4. სასწავლო პროგრამის შინაარსი

სპეციალობაში „დერმატო-ვენეროლოგია“ დიპლომის შემდგომი მზადების პროგრამა ეფუძვნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) რეზიდენტისათვის ბაზისური ცოდნის მიღების უზრუნველყოფა და კლინიკური უნარ-ჩვევების დაუფლება და დახელოვნება დერმატო-ვენეროლოგიაში;
- ბ) სასწავლო კურსის ჩატარება სრულად აღჭურვილ კლინიკურ ბაზაზე (განყოფილებაში ან კლინიკაში), რომელსაც მიღებული აქვს აკრედიტაცია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის

სარეზიდენტო პროგრამის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულების სტაციონარულ და ამბულატორიულ განყოფილებებში ავადმყოფების რაოდენობა და დაავადებების სპექტრი უნდა იძლეოდეს ამ სპეციალობით ღრმა კლინიკური გამოცდილების მიღების საშუალებას. გარდა ამისა, რეზიდენტურის პროგრამის ჩატარებისთვის დაწესებულებას უნდა გააჩნდეს პედაგოგიური პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალი (აუდიტორია, სასწავლო ოთახები, ვიზუალური და დამხმარე სასწავლო მასალები და სხვ.);

გ) მოცემულ სასწავლო კლინიკურ ბაზაზე ზოგიერთი სპეციფიკური აღჭურვილობისა და გამოცდილების უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში სხვა ჰოსპიტალში ინდივიდუალური ტრენინგ-პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა (კანონმდებლობით განსაზღვრული წესის თანახმად);

დ) რეზიდენტისთვის ფუნდამენტური კვლევითი მუშაობის წარმოების უზრუნველყოფა;

ე) დიპლომის შემდგომი მზადების პროგრამის შედეგად რეზიდენტმა უნდა შეიძინოს ცოდნა და კომპეტენციები ქვემოთჩამოთვლილ ყველა სფეროში:

ე.ა) პაციენტის მოვლა;

ე.ა.ა) ანამნეზის სრულყოფილი შეგროვება;

ე.ა.ბ) პაციენტის სრულყოფილი გასიჯვა;

ე.ა.გ) პაციენტის დიაგნოზის მაღალი სიზუსტე;

ე.ა.დ) ამბულატორიული და ჰოსპიტალში მოთავსებული პაციენტის ხარჯთეფექტური მართვა როგორც ფარმაკოლოგიური, ასევე არაფარმაკოლოგიური მკურნალობის მეთოდებით;

ე.ა.ე) სამედიცინო პრობლემების ამოცნობა და პრიორიტეტების მიხედვით რანჟირება;

ე.ა.ვ) ტექნიკური უნარების (მაგ. კანის ბიოფსიის, კოსმეტოლოგიური პროცედურების, სგგ სადიაგნოსტიკო პროცედურების წარმოება და სხვ.) სრულყოფა;

ე.ა.ზ) პაციენტის ხანგრძლივი მკურნალობის და მოვლის სრულფასოვანი და ხარჯთეფექტური დაგეგმვა;

ე.ა.თ) სამედიცინო ჩარევების შემთხვევაში დერმატოლოგიური და სგგ ინფექციებით გართულებების პრევენცია, ამოცნობა და დროული მართვა;

ე.ა.ი) ჰოსპიტალური მოვლის გაუმჯობესება;

ე.ა.კ) პაციენტის მოვლისას ეთიკის ნორმების დაცვა და მისდამი გულისხმიერი დამოკიდებულება. კერძოდ, დერმატო-ვენეროლოგი საიდუმლოდ ინახავს პაციენტის ჯანმრთელობასთან და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, პაციენტის სიკვდილის შემდეგაც კი, თუ საიდუმლოს გამჟღავნებას მას კანონი არ ავალდებულებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ექიმი აცნობებს პაციენტს ან მის ჭირისუფალს საიდუმლოს გამჟღავნების განზრახვის შესახებ;

ე.ა.ლ) დერმატო-ვენეროლოგი პატივს სცემს პაციენტის და მათი ოჯახის საჭიროებებს, აღმოუჩენს და წარმართავს დერმატო-ვენეროლოგიურ დახმარებას მათი საჭიროებიდან გამომდინარე.

ე.ბ) სამედიცინო ცოდნა:

ე.ბ.ა) ბაზისური ცოდნის გაუმჯობესება სპეციალობაში “დერმატო-ვენეროლოგია“;

ე.ბ.ბ) ცოდნის გაღრმავება ამბულატორიული და სტაციონირების საჭიროებების მქონე დერმატო-ვენეროლოგიური დაავადებების შესახებ;

ე.ბ.გ) ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების ცოდნა, ამ ტექნოლოგიების უსაფრთხო, ეფექტური და ეკონომიკური გამოყენება;

ე.ბ.დ) დაავადებისა თუ მკურნალობის მოსალოდნელი გართულებების დროული ამოცნობისა და მართვის უნარი;

ე.ბ.ე) პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული სამედიცინო ინფორმაციისა და სამეცნიერო მტკიცებულებების კრიტიკული შეფასების უნარი.

ე.გ) ინტერპერსონული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები:

ე.გ.ა) პაციენტებსა და მათ ოჯახებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი, რაც მოიცავს პაციენტის და მისი ოჯახის წევრების მოსმენას და გაგებას, კულტურული და რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებას და დამღევას;

ე.გ.ბ) დერმატო-ვენეროლოგი განსაკუთრებული ტაქტით ეპყრობა სქესობრივი გზით გადადები დაავადებებით ინფიცირებულ პაციენტებს და მათი ოჯახის წევრებს;

ე.გ.გ) კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი);

ე.გ.დ) პაციენტის შესახებ ინფორმაციის მკაფიოდ გადმოცემის უნარი როგორც ზეპირი შეფასებისას, ასევე წერილობით;

ე.გ.ე) პატივისცემა უფროსების, კოლეგების, სტუდენტებისა და სამედიცინო გუნდის ყველა წევრის მიმართ;

ე.გ.ვ) ეფექტური თანამშრომლობა კოლეგებთან და სხვა სპეციალობის ექიმებთან;

ე.გ.ზ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში სხვა ექიმის პროფესიული მოვალეობის აღსრულებაში მაქსიმალური დახმარება;

ე.გ.თ) კოლეგებისა და სტუდენტების ეფექტური სწავლების უნარი (ასწავლოს და გაუზიაროს შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება კოლეგებს, უმცროს რეზიდენტებს, სტუდენტებს და ჯანდაცვის სფეროს სხვა მუშაკებს).

ე.დ) პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და გაუმჯობესება:

ე.დ.ა) დერმატო-ვენეროლოგიური დაავადების მქონე პაციენტთა დაავადების დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პრევენციის შესახებ საკუთარი ცოდნისა და უნარების დეფიციტისა და სუსტი მხარეების ამოცნობა და მათ გაუმჯობესებაზე მუშაობა;

ე.დ.ბ) პაციენტის მოვლის გასაუმჯობესებლად მეცნიერული და პრაქტიკული ლიტერატურიდან თანამედროვე ინფორმაციის მოპოვება;

ე.დ.გ) პრაქტიკული მუშაობის გასაუმჯობესებლად და შესაფასებლად შესაბამისი სისტემების შესწავლა, მათ შორის პაციენტის მხრიდან შეფასება, და გამოსავლის ანალიზი;

ე.დ.დ) სამედიცინო ლიტერატურის შეფასების უნარი;

ე.დ.ე) ცოდნის გაუმჯობესების ზოგადი და ინდივიდუალური სტრატეგიის შემუშავება.

ე.ე) პროფესიონალიზმი:

ე.ე.ა) გამოავლინოს პატივისცემა, თანაგრძნობა, ერთიანობა პაციენტსა და მის ოჯახთან;

ე.ე.ბ) იყოს გულისხმიერი და პატივი სცეს პაციენტის ასაკს, კულტურულ ღირებულებებს, სქესს, რელიგიურ მრწამსს;

ე.ე.გ) დაიცვას ეთიკური პრინციპები, პაციენტის კონფიდენციალურობის უფლება და ასევე ინფორმირებული თანხმობის აუცილებლობა;

ე.ე.დ) პროფესიული მუშაობის პროცესში იყოს პუნქტუალური, სანდო, თანმიმდევრული, ჰქონდეს დამოუკიდებელი სწავლის და პროფესიული განვითარების უნარი;

ე.ე.ე) პროფესიული ცოდნის განახლება და სრულყოფა დერმატო-ვენეროლოგის ყოველდღიური საზრუნავია მთელი მისი პროფესიული საქმიანობის მანძილზე;

ე.ე.ვ) მეცნიერული კვლევის წარმოებისას პაციენტის ინტერესები უზენაესია. კვლევის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები არცერთ შემთხვევაში არ ახდენს გავლენას ექიმის ძირითად მოწოდებაზე - ემსახუროს პაციენტის ჯანმრთელობას.

ე.ვ.)სისტემაზე დაფუძნებული პრაქტიკა:

ე.ვ.ა) იცოდეს ჯანდაცვის მთელი სისტემის მუშაობა, მათ შორის პრაქტიკული გაიდლაინები და ყველა სხვა რესურსები, რაც გააუმჯობესებს პაციენტის ცხოვრების ხარისხს და გავლენას მოახდენს პაციენტის მოვლის ყველა ასპექტზე;

ე.ვ.ბ) იცნობდეს და იყენებდეს მულტიდისციპლინური, გუნდური მიდგომის პრინციპებს ქრონიკული პაციენტების მართვის პროცესში;

ე.ვ.გ) საუკეთესო მოვლის გახორციელებისათვის სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან ახორციელებდეს ეფექტურ კოლაბორაციას;

ე.ვ.დ) პაციენტის მოვლის პროცესში იყენებდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, ხარჯთეფექტურ სტრატეგიებს;

ე.ვ.ე) აანალიზებდეს პაციენტის ქრონიკული მოვლის შორეულ ზეგავლენას მის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე;

ე.ვ.ვ) პაციენტის ინდივიდუალური ფინანსური შეზღუდვების პირობებში ეფექტურად იყენებდეს ხელმისაწვდომ რესურსებს;

ე.ვ.ზ) ჯანდაცვის არსებული სისტემის ფარგლებში იცნობდეს პრაქტიკული მედიცინის სამართლებრივ საკითხებს.

მუხლი 5. პროფესიული მზადების სტრუქტურა

1. დერმატო-ვენეროლოგიის სპეციალობით რეზიდენტის მზადების მინიმალური ხანგრძლივობა 3 წელია (33 სასწავლო თვე), რომელიც მოიცავს დერმატო-ვენეროლოგისათვის აუცილებელ საბაზისო კლინიკურ მომზადებას და დახელოვნებას დერმატოლოგიასა და ვენეროლოგიაში.

2. სასწავლო კურსის სპეციალობაში “დერმატო-ვენეროლოგია” შედგება შემდეგი კომპონენტების კომბინაციისაგან:

ა) პაციენტთა კლინიკური მართვა ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ;

ბ) სასწავლო პროგრამა, შემდგარი ლექცია-სემინარებისაგან;

გ) მეცადინეობები არაფორმალური კლინიკური და სამუშაო შეხვედრების სახით და პრეზენტაციები;

დ) ქვეყნის შიგნით და მის გარეთ ტრენინგებში, კონფერენციებში და სხვა სპეციალურ სასწავლო ციკლებში მონაწილეობა;

ე) ბიბლიოთეკაში მუშაობა.

3. სარეზიდენტო პროგრამა „დერმატო-ვენეროლოგია“ აგებულია მოდულების პრინციპზე და გულისხმობს რეზიდენტის მიერ დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ყველა საკითხის გავლას. სარეზიდენტო პროგრამა დერმატო-ვენეროლოგიაში დაყოფილია სასწავლო თემებად – მოდულებად და ხორციელდება როტაციის პრინციპით.

4. სავალდებულო მოდულების ჩამონათვალი:

პროფესიული მზადების პირველი წელი		
მოდულის N	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ამბულატორიული თერაპია	1 თვე
1.2.	თერაპიული პაციენტების მართვა სტაციონარში	1 თვე
1.3.	ამბულატორიული ქირურგია	1 თვე
1.4.	უროლოგია	1 თვე
1.5	გინეკოლოგია	1 თვე
1.6.	დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ზოგადი საკითხები. კანის დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპები	2 თვე
1.7.	კანზე წარმოშობილი ცვლილებები შინაგანი დაავადებების დროს	1 თვე
1.8.	იმუნოდერმატოლოგია – აუტოიმუნური, ალერგიული დამულტიფაქტორული ბუნების დერმატოზები	3 თვე
პროფესიული მზადების მეორე წელი		
მოდულის N	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	კანის ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	2 თვე
2.2.	პედატრიული დერმატოლოგია	2 თვე
2.3.	პათოლოგიის ზოგადი საკითხები, დერმატოპათოლოგია	2 თვე
2.4.	გერიატრიული დერმატოლოგია, ორსულთა დერმატოზები. გენოდერმატოზები, იშვიათი დაავადებებისა და სინდრომების კანზე გამოვლინება, კანის პიგმენტაციის მოშლა	1 თვე
2.5	კანის დანამატების დაავადებები. კანის მიმდებარე ღრვიანი სტრუქტურების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მათ შორის პროექტოლოგიური დაავადებები	1 თვე
2.6.	დერმატოქირურგია	2 თვე
2.7.	დერმატოონკოლოგია-ონკოლოგიური პარანეოპლაზიური დერმატოზები	და 1 თვე
პროფესიული მზადების მესამე წელი		
მოდულის N	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	ტროპიკული დერმატოლოგია	1 თვე
3.2.	კანის სისხლძარღვოვანი პათოლოგიები, პროფესიული და გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული დერმატოლოგია	1 თვე
3.3.	სქესობრივი გზით გადაემდები ინფექციები, გენიტალური დერმატოზები	5 თვე

3.4.	კურორტული და ფიზიკური ფაქტორები დერმატოლოგიაში და ვენეროლოგიაში, ფოტოდერმატოლოგია და ფოტოთერაპია	1 თვე
3.5	ესთეტიკური მედიცინა, დერმატო-კოსმეტოლოგია	2 თვე
3.6	ფსიქოდერმატოლოგია და დერმატოლოგიის სოციალური ასპექტები. მენჯემენტი დერმატოლოგია და ვენეროლოგიაში. გადაუდებელი დერმატოლოგია	1 თვე

მუხლი 6. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

1. კურიკულუმის შინაარსი, მისი დიზაინი ეფუძნება იმ კომპეტენციებს და სამუშაო ნორმატივებს, რომელიც მიღებული და აღიარებულია აშშ-სა და ევროპის განვითარებული ქვეყნების წარმატებული დერმატო-ვენეროლოგიური სკოლების მიერ და რომელთა ადაპტირება და დანერგვა უნდა მოხდეს ჩვენს ქვეყანაში. კურიკულუმის შექმნის პროცესში შეფასდა ის აუცილებელი ადამიანური და ინსტიტუციური რესურსები (ლიტერატურა, სამედიცინო ბაზები და სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ტექნოლოგიები), რომელიც შესაძლებელს გახდის პროგრამის განხორციელებას, პროცესის ეფექტურ მართვას და საბოლოო მიზნების მიღწევას.

2. სასწავლო კურსი სპეციალობაში “დერმატო-ვენეროლოგია” შედგება 21 მოდულისაგან, ხანგრძლივობით 33 თვე.

3. სასწავლო მოდული წარმოადგენს დისციპლინის მნიშვნელოვან სფეროს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ლოგიკურობას, რამაც საბოლოოდ უნდა განაპირობოს რეზიდენტის კომპეტენციისა და კლინიკური უნარ-ჩვევების სისტემურობა.

4. როგორც რეზიდენტურის პროგრამას, ასევე ყოველ კურსს და მოდულს ჰყავს ხელმძღვანელი-პედაგოგი, რომელიც სწავლების გარდა ახორციელებს პროცესის ზედამხედველობას და ხარისხობრივ შეფასებას.

5. სასწავლო ბაზაზე რეზიდენტების მზადების პროცესს კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი – აღიარებული კლინიკური და პედაგოგიური გამოცდილების დერმატო-ვენეროლოგი. იგი მეთვალყურეობს მზადების პროგრამის მიმდინარეობას და სისტემატიურად აფასებს რეზიდენტების მომზადების დონეს.

6. პედაგოგები – მოდულზე პასუხისმგებელი პირები უშუალოდ მეთვალყურეობენ თითოეული რეზიდენტის მზადების პროცესს და ხელმოწერით ასაბუთებენ რეზიდენტის მიერ ჩატარებულ სასწავლო საქმიანობას (გატარებული პაციენტების რაოდენობა, ათვისებული უნარ-ჩვევები, ჩატარებული მანიპულაციების ტიპი, რაოდენობა, შესრულების ხარისხი, და ა.შ.) მის სპეციალურ დღიურში. პროგრამის თითოეულ მოდულში დაბალანსებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული საქმიანობა.

7. რეზიდენტურის პროგრამა მოიცავს რეზიდენტის:

ა) თეორიულ მზადებას – ლექციებს, სემინარულ მეცადინეობებს, სპეციალური ლიტერატურის დამუშავებას, რეფერირებას, წყაროთა ნუსხის შედგენას, კვლევით მუშაობას, რეფერატული ხასიათის მოხსენების მომზადებას, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობას. თეორიული მომზადება ხორციელდება

საქმიანობიდან მოუწყვეტლივ. თვითმომზადების მიზნით კვირაში ერთი დღე სემინარული მეცადინეობის ან “ბიბლიოთეკის” დღეა;

ბ) პრაქტიკულ საქმიანობას - ავადმყოფთა კურაციას, შემოვლებში, კლინიკურ გარჩევებში, კლინიკურ კონფერენციებში მონაწილეობას, პოლიკლინიკის (დისპანსერის) სხვადასხვა განყოფილებებში, კაბინეტებში, სამანიპულაციოებში მუშაობას, და სხვა.

8. რეზიდენტურაში მზადების მთელ პერიოდში რეზიდენტს აქვს უფლება დამოუკიდებლად გამოთქვას თავისი აზრი, როგორც თეორიულ საკითხებზე, ასევე დაავადების ხასიათსა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკაზე.

9. ექიმი-დერმატო-ვენეროლოგის პროფესიული მზადების ძირითადი მეთოდია რეზიდენტის მიერ სამკურნალო, დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკური მუშაობის უშუალო შესრულება რეზიდენტურის მოდულზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობის პირობებში. მოდულზე პასუხისმგებელ პირს არჩევს პროგრამ-ხელმძღვანელი.

10. მოდულზე პასუხისმგებელ პირს ოფიციალურად გამოეყოფა სპეციალური დრო რეზიდენტებთან პედაგოგიური მუშაობისთვის. მოდულზე პასუხისმგებელი პირითავესი პროფესიული საქმიანობის დიდ ნაწილს (სულ ცოტა 15 სთ/კვირაში, ანუ საშუალოდ 3-3 სთ. დღეში) უთმობს სწავლების პროგრამას. ერთი მოდულზე პასუხისმგებელი პირი ერთდროულად შეიძლება წარმართავდეს არაუმეტეს 6 რეზიდენტის მზადებას.

11. მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეზიდენტებისთვის ჩატარებული ტრენინგის დრო ძირითადად უნდა დაეთმოს პაციენტებთან პრაქტიკულ მუშაობას და მიმართული უნდა იყოს დერმატო-ვენეროლოგის სპეციალობით პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის პრინციპებისა და მეთოდების) სრულყოფილი ათვისებისაკენ.

12. რეზიდენტთა და სპეციალობის მაძიებელთა გუნდის თეორიულ მეცადინეობებსდა დისციპლინას მეთვალყურეობას უწევს კოორდინატორი. კოორდინატორისასურველია იყოს აკადემიური ხარისხის მქონე პირი. კოორდინატორიც და მოდულზე პასუხისმგებელი პირიცანგარიშვალდებულნი არიან პროგრამის ხელმძღვანელის წინაშე.

13. რეზიდენტის მუშაობის პირობები:

ა) პროფესიული მზადების პროგრამით გათვალისწინებული მთელი პერიოდის განმავლობაში რეზიდენტი თავის მუშაობას წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობის ქვეშ;

ბ) სამედიცინო დაწესებულებებში რეზიდენტის პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივობა - კვირაში 6-დღე, სამუშაო დღე - 8 საათიანი;

გ) რეზიდენტს კვირაში უნდა ჰქონდეს 1 დასვენების დღე. რეზიდენტის მზადების პერიოდში კვირაში მინიმუმ 5 საათი უნდა დაეთმოს კლინიკური ხელმძღვანელის (მოდულზე პასუხისმგებელი პირის), აგრეთვე სხვა ექიმების მიერ ჩატარებულ ე.წ. სასწავლო შემოვლებს, რომელთა დანიშნულებაა რეზიდენტისთვის ავადმყოფთან მუშაობისა და კლინიკური აზროვნების (კლინიკური მონაცემების ინტერპრეტაცია, დიფერენციალური დიაგნოსტიკა და სხვ.) სწავლება;

დ) საგანმანათლებლო მიზნით კლინიკური ბაზის განყოფილებებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს სამედიცინო კონფერენციები და სემინარები, რომლებიც უნდა დაეთმოს მედიცინის, ასევე მისი ცალკეული სპეციალობების აქტუალური პრობლემების, კლინიკური პათოფიზიოლოგიის საკითხების, აგრეთვე

დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის თანამედროვე მეთოდების განხილვას უახლესი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე. რეზიდენტი სისტემატურად უნდა მონაწილეობდეს ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებში, რის შესახებაც კლინიკური ხელმძღვანელი აკეთებს სათანადო აღნიშვნებს რეზიდენტის დღიურში (მოხსენებები, გამოსვლები და სხვა).

ე) თეორიული მეცადინეობისა და პრაქტიკული საქმიანობის გარდა რეზიდენტი მონაწილეობს მზადების სხვა ფორმებში:

ე.ა) ზოგადი შემოვლა - რეზიდენტი წარმოადგენს საინტერესო პაციენტს (ახსენებს ავადმყოფობის ისტორიას და გამოკვლევის შედეგებს), აუდიტორია სვამს კითხვებს და ცდილობს გამოიცნოს დიაგნოზი. დისკუსიის დამთავრების შემდეგ აუდიტორიას ეცნობება ავადმყოფის დიაგნოზი და წაეკითხება მოკლე ლექცია ამ საკითხზე;

ე.ბ) დისკუსია - დერმატო-ვენეროლოგიის აქტუალურ საკითხებზე საუბარი, რომელსაც წარმართავს შესაბამისი სფეროს სპეციალისტი;

ე.გ) კონფერენცია - რომელზეც განიხილება დერმატო-ვენეროლოგიის ერთ-ერთი საკითხი;

ე.დ) მოხსენება სახელმძღვანელოს თავების ირგვლივ - რეზიდენტები მიმოხილავენ წიგნის ამა თუ იმ თავს და ამზადებენ პრეზენტაციას. ამ გზით ისინი საფუძვლიანად ითვისებენ სახელმძღვანელოს, ეჩვევიან მსჯელობას;

ე.ე) პრეზენტაცია - 1-3 თვიანი როტაციების დროს რეზიდენტმა სხვა რეზიდენტებს და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს ერთხელ მაინც უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და 10 წუთიანი ან უფრო ხანგრძლივი პრეზენტაცია-ლექცია შესაბამისი სპეციალობის აქტუალურ საკითხებზე;

ე.ვ) “საკუთარი კლინიკა”- რეზიდენტი კვირის ერთი და იგივე დღეს (მიუხედავად იმისა რა მოდულს გადის) მიდის ამბულატორიულ მიღებაზე ე.წ. “საკუთარ კლინიკაში”. რეზიდენტს უნდა ჰყავდეს საკუთარი პაციენტების ჯგუფი, რომელთაც იგი მეთვალყურეობს მთელი 2 წლის მანძილზე.

ვ) სამეცნიერო მუშაობა:

ვ.ა) რეზიდენტის მზადების ერთ-ერთი კომპონენტია სამეცნიერო მუშაობა, რომელიც იწყება სწავლების პირველი წლიდან გრძელდება მთელი სარეზიდენტო პერიოდი. იგი აჩვენებს რეზიდენტს დაუკავშიროს ბაზისური ცოდნა კლინიკურ ასპექტებს. რეზიდენტს შეუძლია 2-თვიანი როტაციის სახით მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო პროექტებში, ახალი სამკურნალო პრეპარატებისა და ტექნოლოგიების აპრობაციაში. რეზიდენტს პედაგოგებმა უნდა გაუწიონ დახმარება კლინიკური და ლაბორატორიული კვლევის მიზნის, მეთოდების, შედეგების შეფასებასა და შესაბამისად პუბლიკაციისთვის მომზადებაში. სასურველია კომპიუტერული სერვისის არსებობა კვლევის შედეგების ანალიზისა და სტატისტიკური დამუშავებისათვის. ამასთან, რეზიდენტს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს სამეცნიერო ლიტერატურის შეგროვება, დამუშავება და კრიტიკული ანალიზი. იგი ვალდებულია ”რეზიდენტის დღიურში” ასახოს გაწეული სამეცნიერო მუშაობა;

ვ.ბ) კვლევის პროცესი განკუთვნილია იმისთვის, რომ ახლოს გააცნოს რეზიდენტი კვლევების ძირითად მეთოდოლოგიას. რეზიდენტის მონაწილეობა სამეცნიერო კვლევის პროექტში ხორციელდება ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ;

ვ.გ) კვლევითი გამოცდილებისა და გამოკვლევის ციკლის ოპტიმიზაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ რეზიდენტმა და ხელმძღვანელმა შეადგინონ

შემჭიდროვებული (მოკლე), შესაბამისი პროექტები. იგი უნდა შეიცავდეს შემდგომი მოქმედებების აშკარად განსაზღვრულ ჩამონათვალს: ლიტერატურის მიმოხილვა, გამოკვლევის დიზაინი, მონაცემთა მიღება და შენახვა, მონაცემთა ანალიზი და თეზისის/სტატიის მომზადება;

ვ.დ) პროექტის ბუნების მიხედვით კვლევის ციკლი უნდა წარმართოს ერთი ან ორი ამ ქმედების დასასრულებლად. იმისდა მიუხედავად, თუ კვლევის რომელი ძირითადი მოქმედება სრულდება ამორჩეული ბლოკის განმავლობაში, პროექტი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მისი სრული დამთავრება მოესწროს იმ მომენტამდე, როცა რეზიდენტი დაასრულებს სარეზიდენტო პროგრამას. პროექტი წარდგენილი უნდა იქნეს რეზიდენტთა ყოველწლიურ კონფერენციებზე;

ვ.ე) თეორიული ცოდნის შეფასება ხდება ყოველი მოდულის გავლის შემდეგ და ყოველი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ იმ სასწავლო წლის განმავლობაში გავლილი დისციპლინების მასალის ტესტური შემოწმების საფუძველზე.

ვ.ვ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების ხარისხის შეფასება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ ყოველი მოდულის გავლის შემდეგ.

მუხლი 7. პროგრამის ხანგრძლივობა

1. „დერმატო-ვენეროლოგიის“ რეზიდენტურის პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია.

2. პროფესიული მზადების I წლის მიზანია: დერმატო-ვენეროლოგიისათვის საბაზისო კლინიკურ დისციპლინებში (ამბულატორიულითერაპია,თერაპიული პროფილის სტაციონარის მართვა, ამბულატორიულიქირურგია, უროლოგია, გინეკოლოგია) ცოდნის განმტკიცება, დერმატოლოგიისადავენეროლოგიისზოგადისაკითხების, კანის დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპების,კანისპათოლოგიებისდასგდაავადებებისლაბორატორიულიდიაგნოსტიკის, შინაგანიდაავადებებისდროსკანზეწარმოშობილიცვლილებებისა დააუტოიმიუნური, ალერგიულიდამულტიფაქტორულიბუნებისდერმატოზების შესწავლა.

3. პროფესიული მზადების II წლის მიზანია: კანის ინფექციური და პარაზიტულიდაავადებების, პედიატრიული დერმატოლოგიის,პათოლოგიის ზოგადი საკითხების ცოდნის განმტკიცება და დერმატოპათოლოგიის შესწავლა. გერიატრიულიდერმატოლოგიის, ორსულთადერმატოლოგიური პრობლემების,გენოდერმატოზების, კანზეიშვიათიდაავადებებისადასინდრომებისგამოვლინების, კანისპიგმენტაციისმოშლის (დისქრომიების), კანისდანამატებისდაავადებების,კანისმიმდებარელორწოვანიგარსებისდიაგნოსტიკი სადამკურნალობის, მათშორისპროქტოლოგიურიდაავადებების, დერმატონკოლოგიის შესწავლა. დერმატოქირურგიაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება.

4. პროფესიული მზადების III წლის მიზანია: ტროპიკული დერმატოლოგიის, კანისსისხლძარღვოვანიპათოლოგიების, პროფესიულიდაგარემოფაქტორებთანდაკავშირებულიდერმატოლოგიის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და გენიტალური დერმატოზების,

ესთეტიკური მედიცინის, დერმატო-კოსმეტოლოგიის შესწავლა. დერმატოლოგიასა და ვენეროლოგიაში კურორტული და ფიზიკური ფაქტორების, ფოტოდერმატოლოგიისა და ფოტოთერაპიის გამოყენების შესწავლა, დერმატოლოგიასა და ვენეროლოგიაში ფსიქო-სოციალური ასპექტებისა და მენეჯმენტის დაუფლება.

თავი II. პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების აღწერილობა (წლების მიხედვით)

მუხლი 8. პროფესიული მზადების I წელი

პირველი წლის მოდულებია:

მოდულის N	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ამბულატორიული თერაპია	1 თვე
1.2.	თერაპიული პაციენტების მართვა სტაციონარში	1 თვე
1.3.	ამბულატორიული ქირურგია	1 თვე
1.4.	უროლოგია	1 თვე
1.5	გინეკოლოგია	1 თვე
1.6.	დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ზოგადისაკითხები. კანის დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპები	2 თვე
1.7.	კანზე წარმოშობილი ცვლილებები შინაგანი დაავადებების დროს	1 თვე
1.8.	იმუნოდერმატოლოგია – აუტოიმუნური, ალერგიული და მულტიფაქტორული ბუნების დერმატოზები	3 თვე

მუხლი 9. მოდული 1.1. დასახელება - ამბულატორიული თერაპია, ხანგრძლივობა - 1 თვე

1. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. დიაგნოსტიკური თვალსაზრისით რთული სინდრომების დიაგნოსტიკა, მართვა და მონიტორინგი. ძირითადი კომპეტენციების დაუფლება.

2. მოდულის განხორციელების პირობები – აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი ამბულატორიული დაწესებულება შესაბამისი ასაკობრივი კონტიგენტის მომსახურების (შინაგანი მედიცინა, ოჯახის ექიმი) პროფილით.

3. ლიტერატურის ნუსხა:

ა) გ. ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე;

ბ) ნ. ტატიშვილი გ. სიმონია – “შინაგანი დაავადებები”;

გ) Harrison – “Internal Diseases”;

დ) Merck Manuel;

ე) ვაშინტონის თერაპიული ცნობარი.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა
დაავადების სიმწვავის ხარისხის დადგენა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტისათვის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ობიექტური ინფორმაციის მიწოდების უნარი
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები (იხ. ქვემოთ)
უხშირესი კლინიკური მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
ჰაერის უკმარისობა
ტკივილი გულის არეში
ხველა
დიარეა
გონების კარგვა
ცხელება
ჰემატემზი და მელენა
თავის ტკივილი
სიყვითლე
კიდურის ტკივილი და შეშუპება
გამონაყარი
გულისრევა და ღებინება
სისუსტე და დამბლა
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური სიტუაციები:
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია
პათოლოგიური მგრძნობელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა)
აგრესიული და პათოლოგიური ქცევა
შფოთვა და პანიკური აშლილობა
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
დისპეფსია

დიზურია		
გამონადენი და წყლულები სასქესო ორგანოებზე		
ჰემატურია		
ჰემოპტიზი (სისხლიანი ხველა)		
მოძრაობის შეზღუდვა		
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები		
სახსრების შეშუპება		
ლიმფადენოპათია		
წელის ტკივილი		
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები		
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები		
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები		
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე		
პოლიდიფსია		
პოლიურია		
ქავილი		
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან		
კანსა და პირის ღრუში არსებული წყლულები		
ელაპვასთან დაკავშირებული პრობლემები		
წონასწორობის დაკარგვა/დისბალანსი		
წონაში კლება		
შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა	
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	7	
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	7	
მორიგეობა	თვეში მინიმუმ 4	

მუხლი 10. მოდული 1.2. დასახელება - თერაპიული პაციენტების მართვა სტაციონარში, ხანგრძლივობა - 1 თვე

1.მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. დიაგნოსტიკური თვალსაზრისით რთული სინდრომების დიაგნოსტიკა, ინტენსიური თერაპია და მართვა.

2.მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი თერაპიული სტაციონარული დაწესებულება.

3.ლიტერატურის ნუსხა:

ა) გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე;

ბ) ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”;

გ) Harrison – “Internal Diseases”;

დ)Merck Manuel;

ე)ვაშინტონის თერაპიული ცნობარი.

4.შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება

კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხო რეცეპტურა
მდგომარეობის სიმწვავის ხარისხის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ცუდი ამბების შეტყობინება
სანიერები და სამედიცინო შეცდომები
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები
უხშირესი კლინიკური მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
თირკმლის მწვავე დაზიანება და თირკმლის ქრონიკული დაავადება
კოლაფსი
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი
ტკივილი გულის არეში
მწვავე კონფუზია/დელირიუმი
ხველა
დიარეა
ცხელება
ჰემატემეზი და მელენა
სიყვითლე
კიდურის ტკივილი და შეშუპება
მოწამვლა
გულისრევა და დებინება
პაციენტების მართვა, რომლებიც საჭიროებენ პალიატიურ მზრუნველობას და ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია
ასციტი და გაუვალობა
პათოლოგიური მგრძნობელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა)
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
აღკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება
ჰემატურია
ჰემოპტიზი

ხმის ჩახლენა და სტრიდორი
ჰიპოთერმია
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები
სახსრების შეშუპება
ლიმფადენოპათია
წელის ტკივილი
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე
პოლიდიფსია
პოლიურია
ქავილი
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები
წონაში კლება

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	5
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	5
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია	5
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
სისხლის, სისხლისშემცველთაშეყვანავენაში	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
წამლებისშეყვანავენაში	5
კუჭისამორეცხვა	3
სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
შარდის ბუშტის კათეტერიზაცია	3
